

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 5

ქ. დმანისი

29 მაისი 2025 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. აზერ ალიევი
4. ოლეგი გომუანი
5. ილია სარსევანიძე
6. მაკა ოკმელაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მურაზი აბრამიშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. სოფიო ასლამაზაშვილი
11. შალვა დამბარაშვილი
12. შოთა აკობაშვილი
13. მიხეილი დაუთაშვილი
14. შახინ კოიალოვი
15. ემილ იბრაგიმოვი
16. გამლეთ ისმაილოვი
17. სტამბულ ისაევი
18. ნატიგ ოვჩიევი
19. ლევან მოსეშვილი
20. მაია ციხელაშვილი
21. ლეილა მიქიანი
22. კახა დევნოზაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გიორგი გრიგალაშვილი, მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი,

სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი

სხდომა დაიწყო: 12. 00

სხდომა დასრულდა: 13. 20

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი

1	დადგენილება: „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის N 31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	მომხსენებელი:	თ.ტატულაშვილი
2	დადგენილება: „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილების დანართ N1-ში ცვლილებების შეტანის თაობაზე	მომხსენებელი:	მ.ასლანიშვილი
3	დადგენილება: „გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	მომხსენებელი:	მ.ასლანიშვილი
4	განკარგულება: „დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 25 იანვრის N გ-109. 109240254 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე	მომხსენებელი:	მ.ასლანიშვილი
5	დადგენილება: „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	მომხსენებელი:	გ.გრიგალაშვილი
6	განკარგულება: „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-109.109243592 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	მომხსენებელი:	მ.ოკმელაშვილი
7	განკარგულება: „დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“	მომხსენებელი:	ლ.ბერუაშვილი
8	განკარგულება: დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ	მომხსენებელი:	ლ.ბერუაშვილი
9	განკარგულება: „დმანისის მუნიციპალიტეტში 2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის Nგ-109.109250287 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	მომხსენებელი:	ლ.მანთაშაშვილი

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის N 31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

- 1) საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 აპრილის #714 „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის #1955 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4 105,6 ათასი ლარი ნაცვლად 4 071,00 ათასი ლარისა. ზრდამ შეადგინა 34,6 ათასი ლარი, რაც აისახოს ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „ზეზის მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 5 433,8 ათასი ლარისა განისაზღვროს 5 468,4 ათასი ლარით (სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი);
- 2) სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2025 წლის 27 იანვრის ბრძანების და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებები და დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელის 2025 წლის 21 მაისის წერილის საფუძველზე „ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში“, „გადასახდებლებში“ დაემატოს ახალი ორგანიზაციული კოდი 06_02_11 „შშპ პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“ სადაც აისახოს 2025 წლის აპრილის თვეში გამოყოფილი თანხა 14,9 ათასი ლარის ოდენობით (სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი) შემდეგი მუხლების მიხედვით:
 - საქონელი და მომსახურება - 0,7 ათასი ლარი;
 - სუბსიდიები - 13,9 ათასი ლარი;
 - სოციალური უზრუნველყოფა - 0,3 ათასი ლარი;
- 3) დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში წარმოქმნილი ჭარბი შემოსავლების დაფიქსირების გამო, შეტანილ იქნას ცვლილება „არაფინანსური აქტივების კლება“-ს შემოსავლების კლასიფიკაციის კოდში 31.1.1.2.7 და აღნიშნული კოდი განისაზღვროს 327,00 ათასი ლარით. აღნიშნული თანხა გადანაწილდეს „გადასახდებლები“-ს შემდეგ კოდებში:
 - ორგანიზაციული კოდი 02_02_02 „სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია“-ს „გრანტი“-ს მუხლი გაიზარდოს 120,0 ათასი ლარით და ნაცვლად 412,9 ათასი ლარისა განისაზღვროს 532,9 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
 - ორგანიზაციული კოდი 02_04_02 „ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია“-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლი გაიზარდოს 7,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 988,3 ათასი ლარისა განისაზღვრება 995,3 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
 - ორგანიზაციული კოდი 06_02_06 „ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი გაიზარდოს 200,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 148,8 ათასი ლარისა განისაზღვროს 348,8 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- 4) „დმანისის მუნიციპალიტეტში 2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის #გ-109.109250287 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის #გ-109.109251191 განკარგულების საფუძველზე ორგანიზაციული კოდი 02_05_01 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირდეს 92,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა გადანაწილდეს შემდეგ კოდებზე:

- ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი გაიზარდოს 35,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1 994,6 ათასი ლარისა განისაზღვროს 2 029,6 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
 - ორგანიზაციული კოდი 02_04_01 „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი გაიზარდოს 57,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1 486,9 ათასი ლარისა განისაზღვროს 1 543,9 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- 5) ორგანიზაციული კოდი 01_01_02 „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი შემცირდეს 27,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა გადატანილ იქნეს ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 50,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 77,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
 - 6) ორგანიზაციული კოდი 01_02_04 „თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა“-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლი შემცირდეს 40,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა გადატანილ იქნეს ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 40,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე).
 - 7) ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი-ს 2025 წლის 16 მაისის #34-1082513620 წერილის საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი 03_01_01 „დმანისის სერვის ჯგუფი“-ს „სუბსიდიები“-ს მუხლიდან 40,0 ათასი ლარი გადატანილ იქნეს ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში. აღნიშნული მუხლი ნაცვლად 20,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 60,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
 - 8) ა(ა)იპ „საგანმანათლებლო ცენტრი“-ს 2025 წლის 04 თებერვლის #30-1082503570 წერილის საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი 04_02_01 ა(ა)იპ „საგანმანათლებლო ცენტრი“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირდეს 5,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა გადატანილ იქნეს ამავე კოდის „სუბსიდიები“-ს მუხლში. აღნიშნული მუხლი ნაცვლად 198,1 ათასი ლარისა განისაზღვროს 203,1 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
 - 9) ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის სპორტული სკოლა“-ს დირექტორის 2025 წლის 24 მარტის #29-1082508324 წერილის საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი 05_01_01 ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის სპორტული სკოლა“-ს „სუბსიდიები“-ს მუხლიდან ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში გადატანილ იქნეს 70,0 ათასი ლარი. და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 10,4 ათასი ლარისა განისაზღვროს 80,4 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
 - 10) დმანისის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის 2025 წლის 13 მაისის #02-1082513355 წერილის საფუძველზე, 2024 წლის 25 ოქტომბერს #210 ხელშეკრულების (სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურება) თანხა გაიზარდოს 10%-ით, რაც შეადგენს 20,0 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე: ორგანიზაციული კოდი 02_03_02 „გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი შემცირდეს 20,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა გადატანილ იქნას ორგანიზაციული კოდი 06_02_06 „ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 348,8 ათასი ლარისა განისაზღვროს 368,8 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
 - 11) „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში შევიდეს ცვლილებები მე-13 და მე-14 მუხლებში. შეიცვალოს დასახელებები შემდეგ ორგანიზაციულ კოდებს:

- 01_02_05 კოდის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ღონისძიებები“-ს დასახელება შეეცვალოს „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო“-ს დასახელებაზე;
- 06_02_09 კოდის „ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა“-ს დასახელება შეეცვალოს „ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა“-ს დასახელებაზე;

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს **33 910,3** ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვას: ოლეგი გოშუანმა, პაატა ყულიაშვილმა.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 18

წინააღმდეგი: ლევან მოსემვილი, ლეილა მიქიანი, მაია ციხელაშვილი, კახა დევნოზაშვილი.

2. მომხსენებელი : **მაკა ასლანიშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №48 დადგენილების დანართ №1-ში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კონონში პარლამენტის მიერ განხორციელდა ცვლილება, რომლის შედეგადაც ტერმინი „გენდერული თანასწორობა“ ჩაანაცვლა ქალისა და მამაკაცის თანასწორობამ. ასევე, „გენდერული თანასწორობის საბჭოს ნაცვლად ცვლილებების შედეგად იფუნქციონირებს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო. შედეგად საჭიროა ცვლილება განხორციელდეს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში.

1. მე-3 მუხლი მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობის ღონისძიებების დაგეგმვა და დამტკიცება;“.

2. VI თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საკრებულოს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო“

3. VI თავის 35-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში იქმნება ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო.“

გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალთა და ბავშვთა უფლებებზე მომუშავე საბჭოს შექმნის წესი, შემადგენლობა, უფლებამოსილება და ფუნქციები განისაზღვრება ქალთა და ბავშვთა უფლებებზე მომუშავე საბჭოს დებულებით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს საკრებულო.“

აზრი გამოთქვას: აზერ ალიევმა

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 18

წინააღმდეგი: ლევან მოსემვილი, ლეილა მიქიანი, მაია ციხელაშვილი, კახა დევნოზაშვილი.

3. მომხსენებელი: **მაკა ასლანიშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 აგვისტოს №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები განხორციელა „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონში და მისგან გამომდინარე კანონპროექტთა პაკეტში. კანონპროექტის თანახმად, კანონის სათაურსა და ტექსტში ტერმინი „გენდერული თანასწორობა“ შეიცვალა „ქალისა და მამაკაცის თანასწორობით“. გარდა ამისა, კანონიდან მოხდა იმ ნორმის ამოღება, რომელშიც მოცემულია ტერმინ „გენდერის“ განმარტება. აღნიშნული კანონპროექტით გაუქმდა საქართველოს

პარლამენტში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებში გენდერული თანასწორობის საბჭოსა და მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის ვალდებულება.

ცვლილებების შედეგად დამდგარი საჭიროების გამო, დმანისის მუნიციპალიტეტში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებზე სისტემური და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შეიქმნას დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო.

საბჭოს შემადგენლობაში შევლენ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს თითოეული ფრაქციიდან ერთი წევრი, საკრებულოს ყველა კომისიის თავმჯდომარე. საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები.

წელიწადში ერთხელ საბჭომ საკრებულოს უნდა წარუდგინოს ანგარიში, მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა უფლებების მდგომარეობის შესახებ.

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი: ლევან მოსეშვილი, ლეილა მიქიანი, მაია ციხელაშვილი, კახა დევნოზაშვილი.

4. მომხსენებელი: მაკა ასლანიშვილი საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 25 იანვრის № გ-109. 109240254 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შედეგად გაუქმდა საქართველოს პარლამენტში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებში გენდერული თანასწორობის საბჭოსა და მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის ვალდებულება, რაც წარმოშობს გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის გაუქმების საფუძველს. შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 25 იანვრის № გ-109. 109240254 განკარგულება.

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი .

მომხრე: 18

წინაღმდეგი: ლევან მოსეშვილი, ლეილა მიქიანი, მაია ციხელაშვილი, კახა დევნოზაშვილი.

5. მომხსენებელი: გიორგი გრიგალაშვილი საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი წიშნები:

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის №11 დადგენილებით დამტკიცებული დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების (შემდგომში - დებულების) მე-4 მუხლის მიხედვით, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციის (შემდგომში - ინსპექცია) შემადგენლობაში შედის ადმინისტრაციული და საჯარო ზედამხედველობის განყოფილება (შემდგომში - განყოფილება) და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით „განყოფილება საქმიანობას ახორციელებს ამ დებულების მე-3 მუხლით განსაზღვრულ_ უფლებამოსილებათა ფარგლებში.“ ამ პუნქტის რედაქციიდან გამომდინარე, განყოფილება ასრულებს იგივე ფუნქციებს რაც განსაზღვრული აქვს მე-3 მუხლით სამსახურს ზოგადად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინსპექციის სტრუქტურაში ფუნქცია/მოვალეობების გამიჯვნის და განყოფილებისათვის შესაბამისი ფუნქციების და კომპეტენციების განსაზღვრის მიზნით,

წარმოდგენილი პროექტით, დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით და განისაზღვროს განყოფილების ფუნქცია/მოვალეობები, ადმინისტრაციული და საჯარო ზედამხედველობის ფარგლებში.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) სხვა ნორმატიულ აქტებში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის შესახებ, რასაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა): დადგენილების მიღება არ გამოიწვევს სხვა ნორმატიულ აქტში ცვლილებებს ან დამატებებს.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი: ლევან მოსეშვილი, ლეილა მიქიანი, მაია ციხელაშვილი, კახა დევნოზაშვილი.

6. მომხსენებელი: მაკა ოკმელაშვილი საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №-109.109243592 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ორ სოციალურ ქვეპროგრამაში ცვლილება შევიდეს ახალი კანონმდებლობის გათვალისწინებით,სადაც ტერმინი გენდერული თანასწორობა, შეიცვალა როგორც- ქალისა და მამაკაცის თანასწორობა. კერძოდ:

ა) დანართი 19_ში, პროგრამის სათაური ჩამოყალიბდეს, შემდეგი ახალი რედაქციით:

„ ქალთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით“.

აგრეთვე ამავე პროგრამის მე-10 მუხლის მე-3 „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით:

”კ) ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური მხარდაჭერის კომპონენტი შეადგენს 25 000 ლარს.“

ბ) ხოლო მეორე პროგრამაში: დანართი-6 „18 წელს გადაცილებულ შეზღუდული შესაძლებლობის ქალთა და 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის მუნიციპალური ქვეპროგრამა“

მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი ახალი რედაქციით:

მუხლი 2. ქვეპროგრამის ამოცანა

1. ქვეპროგრამის ამოცანაა პროგრამის მოსარგებლე პირებისათვის ფინანსური მხარდაჭერა ჯანსაღი და სრულფასოვანი განვითარებისათვის, ცნობიერების ამაღლება, მოქმედ ადგილობრივ და სახელმწიფო პროგრამებში ქალთა ჩართულობის გაზრდა და სოფლად მცხოვრებ შშმ ქალებთან და ოჯახებთან საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა დმანისის მუნიციპალიტეტის ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საბჭოს და დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს ჩართულობით მათი საზოგადოებაში გააქტიურებისა და ეკონომიკური გაძლიერებისათვის).

2. საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა შშმ ქალებთან და მათ ოჯახებთან დმანისის მუნიციპალიტეტის ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საბჭოს და დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ (სამ თვეში ერთხელ).“

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი: ლევან მოსეშვილი, ლეილა მიქიანი, მაია ციხელაშვილი, კახა დევნოზაშვილი.

7. მომხსენებელი: ლერი ბერუაშვილი საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

აღნიშნული განკარგულების პროექტის თანახმად, მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. დმანისში, ქეთევან დედოფლის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობიდან (ს.კ.82.01.45.351) 107,00 კვ.მ, ფართი 2 (ორი) წლის ვადით ა(ა)იპ „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“-ს.

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი: ლევან მოსეშვილი, ლეილა მიქიანი, მათა ციხელაშვილი, კახა დევნოზაშვილი.

8. მომხსენებელი: ლერი ბერუაშვილი საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

აღნიშნული განკარგულების პროექტის თანახმად, მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს აუქციონის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (თან ერთვის დანართები).

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი: ლევან მოსეშვილი, ლეილა მიქიანი, მათა ციხელაშვილი, კახა დევნოზაშვილი.

9. მომხსენებელი: ლევან მანთაშაშვილი საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტში 2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის №გ-109.109250287 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ქ. დმანისში წმ. ნინოს ქუჩა N 56 ში მდებარე კულტურის სახლში ოთახების და სველი წერტილების რეაბილიტაცია“, სამუშაოები გაიზარდოს ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ით (11667 ლარი), ნუსხაში გათვალისწინებულია 132 712 ლარი (10% არის 13271 ლარი). პუნქტ 1-ში დარჩეს 128342 ლარი, ხოლო დარჩენილი 4370 ლარი გადატანილი იქნას პუნქტ 2-ში.

„ქ.დმანისში 26 მაისის ქუჩაზე მდებარე შენობის სრული რეაბილიტაცია სპორტ სკოლისთვის“ სამუშაოები გაიზარდოს 10%-ით (8694 ლარი), 4370 ლარი გადმოტანილი იქნას პუნქტ 1-დან, ხოლო დანარჩენი 4323 ლარი გადატანილი იქნას პუნქტ 24 -დან „სოფ მაშავერაში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია“.

„ქ. დმანისში წმ. ნინოს ქ. N56-ში სპორტული დარბაზის შენობის სრული რეაბილიტაცია“-ის სამუშაოები გაიზარდოს 10%-ით (10115 ლარი), რომელიც გადატანილი იქნას პუნქტ 24 -დან „სოფ მაშავერაში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია“.

„სოფელ ზემო კარაბულახის სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია“ სამუშაოები გაიზარდოს ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ით (23845 ლარი), ნუსხაში გათვალისწინებულია 243037 ლარი გაიზარდოს 262301 ლარამდე, 19264 ლარი გადატანილი იქნას პუნქტ 24 -დან „სოფ მაშავერაში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია“.

დაემატოს „დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთში კულტურის ცენტრის მშენებლობა“ მოსახლეობის მოთხოვნით და დამატებითი სამუშაოების გამო ხელშეკრულებები გაიზარდოს 10%-ის ფარგლებში, რისთვისაც საჭიროა 89410 ლარი, გადატანილი იქნას „სოფ მაშავერაში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია“.

ნუსხას დამატებული იქნას „სოფ მთისძირში გარე განათების მოწყობა“, რომელიც გადატანილი იქნას „სოფ მაშავერაში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია“.

აზრი გამოთქვას: პაატა ყულიაშვილი, მურაზი აბრამიშვილი.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი: ლევან მოსეშვილი, ლეილა მიქიანი, მათა ციხელაშვილი, კახა დევნოზაშვილი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე



პაატა ყულიაშვილი

სხდომის მდივანი:

ტარიელ პაკელიანი

N	საკადასტრო კოდი	დანიშნულება	მესაკუთრე	მისამართი	დაზუსტებული ფართობი კვ.მ	დაზუსტებული ფართობი ჰა	13ა ფართობის წლიური საბაზრო-საიჯარო ქირა	წლიური საბაზრო საიჯარო ქირა
1	82.13.41.549	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია 228928391	მუნიციპალიტეტი დმანისი, სოფელი განთიადი	15121	1.5121	20	30
2	82.03.42.540	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	მუნიციპალიტეტი დმანისი, სოფელი ირგანჯაი	126733	12.6733	20	253
3	82.17.41.214	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	მუნიციპალიტეტი დმანისი, საზაფხულო საძოვრები	492612	49.2612	20	985
4	82.17.42.151	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	დმანისის მუნიციპალიტეტი	3166666	316.6666	20	6333
5	82.09.41.299	სათიბი	დმანისის რაიონის გამგეობა 22888176	მუნიციპალიტეტი დმანისი, სოფელი ქარიანი	85272	8.5272	20	171
6	82.06.43.110	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი, სოფელი ველისპირი	79264	7.9264	20	159
7	82.07.46.314	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი, სოფელი ზემო კარაბულაზი	55014	5.5014	20	110
8	82.16.41.069	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი, სოფელი საკირე	202469	20.2469	20	405
9	82.18.42.249	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი პანტიანი, 1-ლი ქუჩის I ჩიხი, N 1	21213	2.1213	20	42

10	82.08.43.256	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , იფნარის ტერიტორიული ერთეული	39356	3.9356	20	79
11	82.15.41.463	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	მუნიციპალიტეტი დმანისი , სოფელი საფარლო	3516	0.3516	20	7
12	82.14.42.252	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი მთისძირი	144387	14.4387	20	289
13	82.15.49.020	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	მუნიციპალიტეტი დმანისი , სოფელი უკანგორა	5028	0.5028	20	10
14	82.15.49.021	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	მუნიციპალიტეტი დმანისი , სოფელი უკანგორა	4972	0.4972	20	10
15	82.15.46.665	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	ქალაქი დმანისი , ამამლოს ტერიტორიული ერთეული	217372	21.7372	20	435
16	82.15.46.664	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	ქალაქი დმანისი , ამამლოს ტერიტორიული ერთეული	405350	40.535	20	811
17	82.07.42.182	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი სალამალეიქი	38000	3.8	20	76
18	82.07.42.184	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი სალამალეიქი	24449	2.4449	20	49

19	82.07.47.788	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , ქვემო ოროზმანი , (ნაკვეთი: "სოფუთლო")	185000	18.5	20	370
20	82.15.46.666	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	ქალაქი დმანისი , ამალოს ტერიტორიული ერთეული	156999	15.6999	20	314
21	82.08.41.171	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი კიზილაჯლო	67232	6.7232	20	134
22	82.16.41.078	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი საკირე	151459	15.1459	20	303
23	82.09.41.129	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი კამარლო	387014	38.7014	20	774
24	82.07.47.783	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი ზემო კარაბულაზი	19858	1.9858	20	40
25	82.18.42.209	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი პანტიანი	9047	0.9047	20	18
26	82.14.41.109	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი პანტიანი	1462710	146.271	20	2925
27	82.07.47.782	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი გოდაგდაგი	22657	2.2657	20	45

28	82.16.41.068	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი საკირე	41134	4.1134	20	82
29	82.16.41.082	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი საკირე	182710	18.271	20	365
30	82.16.41.072	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი საკირე	64738	6.4738	20	129
31	82.07.41.101	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი პანტიანი	1462710	146.271	20	2925
32	82.14.44.293	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი ქვემო ოროზმანი	8119	0.8119	20	16
33	82.16.41.071	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი საკირე	42749	4.2749	20	85
34	82.06.43.106	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი ველისპირი	132819	13.2819	20	266
35	82.07.43.175	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი გოდაგდაგი	151859	15.1859	20	304
36	82.14.44.294	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი ქვემო ოროზმანი	6319	0.6319	20	13

37	82.16.41.061	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი საკირე	15019	1.5019	20	30
38	82.07.45.230	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი ზემო კარაბულახი	14362	1.4362	20	29
39	82.08.42.305	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი დაგარახლო	8206	0.8206	20	16
40	82.08.42.878	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი დაგიარახლო	21179	2.1179	20	42
41	82.07.41.180	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	მუნიციპალიტეტი დმანისი	402107	40.2107	20	804
42	82.15.43.632	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	მუნიციპალიტეტი დმანისი , სოფელი მამიშლო	3699	0.3699	20	7
43	82.17.41.224	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	დმანისის მუნიციპალიტეტი	87718	8.7718	20	175
44	82.09.41.300	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	მუნიციპალიტეტი დმანისი , სოფელი ქარიანი	40008	4.0008	20	80
